



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სისხლის სამართალი

ქუთაისი

2011

1. **სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** სისხლის სამართალი
2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი ირაკლი შენგელია.
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სისხლის სამართლის მაგისტრი; Master of criminal law.
4. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი.
მათ შორის: 60 კრედიტი - თეორიული კომპონენტი;
30 კრედიტი - პრაქტიკული კომპონენტი;
30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

5. **სწავლების ენა:** ქართული.

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და დასაქმების სფერო:

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და კურსდამთავრებულის აღჭურვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი სივრცის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციით; აქცენტის გაკეთება ანალიტიკური და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე;
- მაგისტრანტის მომზადება საადვოკატო, საპროკურორო და სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისათვის, შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პრაქტიკასა თუ თეორიაში არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენა, საკუთარი პოზიციის, პრობლემის გადაჭრის და ობიექტური დასკვნების გაკეთების და ანალიტიკური აზროვნების უნარის გამომუშავება;
- სამართლის მაგისტრმა უნდა შეძლოს ჯგუფური მუშაობა კოლეგებთან, პრობლემური საკითხების გადაწყვეტა კოლექტიურად და სხვათა შეხედულებების მოსმენა, შეფასება და გაზიარება;
- პროგრამასთან დაკავშირებული კვლევების ხარისხის გაცნობიერება; დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის სამართლებრივი არგუმენტაციის კრიტიკისა და სინთეზის უნარ-ჩვევების ფლობა, სხვა საჭირო კომპეტენციების განვითარება და სწავლის გაგრძელება სადოქტორო პროგრამაზე;
- სისხლის სამართლის მაგისტრი უნდა აკმაყოფილებდეს ეროვნული და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ მოთხოვნებს. მას უნდა შეეძლოს პროფესიული ეთიკის ძირითადი ღირებულებების დაცვა და პატივს უნდა სცემდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად პრინციპებს;
- სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სტუდენტს საადვოკატო, საპროკურორო და სამოსამართლო საქმიანობისათვის. შესაბამისად აღნიშნული სფეროები განსაზღვრავს სამართლის მაგისტრის სამომავლო დასაქმებას.

7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონეს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდა და საუნივერსიტეტო გამოცდები მოცემული სპეციალიზაციით.

8. სწავლის შედეგი:

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სწავლების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას. გაცნობიერებული აქვს შესაბამისი სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.</p>	<p>სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო საკითხების განსაზღვრა და გაანალიზება; სისხლის სამართლის პროცესში ძირითად პრობლემების გამოკვეთა და დასმული პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობის ჩამოყალიბება. სისხლის სამართლის ძირითადი და აქტუალური საკითხების ღრმა ანალიზი; შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება გადაწყვეტილების მიღებისათვის და სოციალურ-საზოგადოებრივი ინფორმაციის მოპოვება პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება.</p>	<p>თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტური გამოყენება და პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება, კონკრეტულ სიტუაციაში პრობლემის დანახვა და შეფასება; ამ პრობლემათა გადასაწყვეტად კონკრეტული პრაქტიკული სტრატეგიის შემუშავება; პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა, პრაქტიკული მუშაობის დაგეგმვა-ორგანიზება; ეფექტური იურიდიული პრაქტიკის განხორციელებისათვის მიზნებისა და პრინციპების, საქმის სამართლებრივ-ფაქტობრივი ვერსიების ფორმულირება; მოვლენებისა და პროცესების კომპლექსური და ობიექტური შეფასება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკის ან მეცნიერული მიდგომების პირობებში შეუძლია ცვლილებების ანალიზი და გამომდინარე დასკვნის ჩამოყალიბება.</p>	<p>შეუძლია პრობლემის შესახებ განზოგადებული, არგუმენტირებული და დასაბუთებული დასკვნის გამოტანა. პრობლემების ერთობლიობაში გადაწყვეტის მიზნით სხვა დისციპლინებში მიღებულ ცოდნასა და უნარებთან სამართლის სფეროში მიღებული ცოდნისა და უნარების დაკავშირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების შემუშავება; ცალკეული მეცნიერული არგუმენტაციის, საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი.</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.</p>	<p>სიხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე კამათის კულტურა და სამართლებრივ საკითხთა პრეზენტაციების უნარი; მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომპლექსური სისხლისსამართლებრივი საკითხის, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად ჩამოყალიბების უნარი; მოსმენის, დარწმუნებისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარები.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზი, გაიფართოს ცოდნა შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.</p>	<p>მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად გაფართოების უნარი. თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში ინფორმაციის მოძიების, მეცნიერული ლიტერატურისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის, მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციის, აღქმის, ანალიზისა და გადმოცემის უნარი. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების დანერგვისათვის საჭირო სტრატეგიების შემუშავება; სამართლებრივი კვლევის უახლეს მიღწევების ფართოდ გამოიყენება.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს და, საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.</p>	<p>საქმიანობის კონკრეტულ სფეროში სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ანალიზებს არსებულ სამართლებრივ ღირებულებებს – პიროვნების პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, სამართლიანი სასამართლოს, უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობას და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში, რათა მოახდინოს ზნეობრივი საკითხების გამოკვეთა და სათანადო გადაწყვეტილების მისაღწევად შესაბამისი პრინციპებისა და წესების გონივრულად გამოყენება; ადამიანებთან ურთიერთობაში ზრდილობიანი დამოკიდებულებისა და პატივისცემის გამოხატვა. პროფესიული ეთიკის ნორმები გაცნობიერება.</p>

9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის მიზნით გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

1. სოკრატეს მეთოდი:

- სამართლებრივი პრობლემების გაანალიზება, ანალოგიის გზით დასაბუთება;
- საკუთარ და სხვა პირთა არგუმენტებზე კრიტიკული ხედვის უნარის განვითარება;
- პრობლემების გადაწყვეტისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა;
- დისკუსია სალექციო თემაზე.

2. ახსნა-განმარტებითი მეთოდი:

- მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.

3. წიგნზე მუშაობის მეთოდი:

- დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად დავალების მიცემა წიგნზე მუშაობის სახით.

4. წერიტი მუშაობის მეთოდი:

- ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება.

5. ჯგუფური (collaborative) მუშაობა:

- სტუდენტების ჯგუფებად დაყოფა და სასწავლო დავალების მიცემა;
- საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება და პარალელურად ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გაზიარება;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილების სტრატეგია.

6. შემთხვევის ანალიზი (Case study):

- კონკრეტული შემთხვევის განხილვა, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.

7. როლური და სიტუაციური თამაშები:

- სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება ალტერნატიული პოზიციის ჩამოყალიბებაში და მის დაცვაში.

8. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:

- სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია.

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია მაგისტრანტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. მაგისტრანტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს. კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. მაგისტრანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში მაგისტრანტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

11. სასწავლო გეგმა:

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგება 5 კრედიტიან საგანთა ერთობლიობით. 1

კრედიტი უდრის 25 საათს. შესაბამისად 5 კრედიტი - 125 საათი.

სისხლის სამართლის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან.

აქედან: თეორიული კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს; სამეცნიერო კვლევის კომპონენტი - 30 კრედიტს, ხოლო იურიდიული კლინიკური განათლება - 30 კრედიტი.

11.1 პრაქტიკული კომპონენტი

11.1.1 კლინიკური განათლების კომპონენტი: სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება, მაგისტრანტისათვის პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამ მიზნიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო ნაწილია კლინიკური განათლების კომპონენტი:

- III სემესტრში სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი 30 კრედიტი:

- ✓ სასჯელადსრულების დეპარტამენტის იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული კლინიკა; ქუთაისის საქალაქო სასამართლოსთან არსებული იურიდიული კლინიკა.
- ✓ ასევე მოხდება პრაქტიკული კომპონენტის ათვისება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალში მემორანდუმის საფუძველზე.

11.2. სამეცნიერო კვლევის კომპონენტი: მაგისტრის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება:

- 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

11.3. თეორიული კომპონენტი: მოიცავს კურსებს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით. ცალკეული პრაქტიკული კომპონენტი, თეორიული კომპონენტის, როგორც კურსის შემადგენელი ნაწილია. ზოგიერთი სასწავლო კურსი კი მთლიანად პრაქტიკულ პროფილზეა აგებული.

№	კურსის კოდი	კურსის დასახელება	კურსის სტატუსი: სავალდებულო/არჩევითი	ლ/პრ/დამოუკიდებელი	კრედიტი	კრედიტების განაწილება			
						სემესტრი			
						I	II	III	IV
1	SLM0200	სამოსამართლო სამართალი	სავალდებულო	12/12/101	5	5			
2	SLM0570	წინასასამართლო გამოძიების წარმოება	სავალდებულო	0/24/101	5	5			
3	SLM0060	სახელმწიფო დანაშაული	სავალდებულო	12/12/101	5	5			
4	SLM0100	საადვოკატო უნარ ჩვევები	სავალდებულო	0 /24/101	5	5			
5	SLM0520	სამეცნიერო წერის საფუძვლები	სავალდებულო	0/24/101	5	5			
6	SLM0010	ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია	სავალდებულო	15/15/95	5		5		
7	SLM0450	სასამართლო პროცესის ორგანიზაცია	სავალდებულო	0/30/95	5		5		
8	SLM0110	სასამართლო გადაწყვეტილების ფორმულირება	სავალდებულო	0/30/95	5		5		
9	SLM0460	იურიდიული ეთიკა	სავალდებულო	15/15/95	5		5		
10	SLM0380	საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	სავალდებულო	15/15/95	5		5		
11	SLM0481	ევროპული სისხლის სამართალი	არჩევითი	12/12/101	5	5			
12	SLM0031	საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია	არჩევითი	12/12/101	5				
13	SLM0491	შედარებითი სისხლის სამართალი	არჩევითი	12/12/101	5				
14	SLM0501	ევროპის საბჭოს სამართალი	არჩევითი	12/12/101	5				
15	PPM0501	პედაგოგიკის ზოგადი კურსი	არჩევითი	12/12/101	5				
16	SLM0071	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება(პრაქტიკული კურსი)	არჩევითი	0/30/95	5		5		

17	SLM0511	სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია		არჩევითი	15/15/95	5					
18	SLM0361	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი		არჩევითი	15/15/95	5					
19	SLM0401	ევროკავშირის სამართალი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)		არჩევითი	15/15/95	5					
20	PPM0511	უმადლესი სკოლის პედაგოგიკა		არჩევითი	15/15/95	5					
21	SLM0540	იურიდიული კლინიკური განათლება	საქალაქო სასამართლო	სავალდებულო	180/570/750	30			30		
22	SLM0550		ქუთაისის იურიდიული დახმარების სამსახური	სავალდებულო	180/570/750	30					
23	SLM0560		საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სავალდებულო		30					
25	SLM0140	სამაგისტრო ნაშრომი		სავალდებულო		30				30	
						სულ	120	30	30	30	30

შენიშვნა 1: მაგისტრანტი I და II სემესტრებში არჩევითი სასწავლო კურსებიდან ირჩევს მხოლოდ ერთ 5 კრედიტულ კურსს.

შენიშვნა 2: მაგისტრანტი III სემესტრში იურიდიული კლინიკური განათლების კომპონენტიდან ერთ-ერთ 30 კრედიტულ კურსს გაივლის.

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში; ლ/პრ./დამ.მუშ.-ლეცია/პრაქტიკული/დამოუკიდებელი მუშაობა.

12. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსი:

ადამიანური რესურსი: პროგრამის განხორციელებას ემსახურება აწეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები: 2 - სრული პროფესორი; 4 - ასოცირებული პროფესორი; 2 - ასისტენტ პროფესორი(დოქტორი); 1 - ხელშეკრულებით მოწვეული სამართლის აკადემიური დოქტორი, 3 - სპეციალისტი.

მატერიალური რესურსი: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი, იურიდიული კლინიკები.

№	კურსის დასახელება	კომპეტენციების დასახელება					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	სამოსამართლეო სამართალი		X	X	X	X	X
2	წინასასამართლო გამოძიების წარმოება		X	X	X		X
3	სახელმწიფო დანაშული		X	X			
4	საადვოკატო უნარ-ჩვევები	X	X	X	X		X
5	სამეცნიერო წერის საფუძვლები	X	X	X	X	X	
6	ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშულის კვალიფიკაცია		X		X	X	X
7	სასამართლო პროცესის ორგანიზაცია		X	X	X		X
8	სასამართლო გადაწყვეტილებების ფორმულირება		X	X		X	
9	იურიდიული ეთიკა		X		X	X	X
10	საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	X	X	X		X	
11	ევროპული სისხლის სამართალი	X		X		X	X
12	საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია	X	X	X			
13	შედარებითი სისხლის სამართალი	X		X		X	
14	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (პრაქტიკული კურსი)		X	X	X		X
15	ევროპის საბჭოს სამართალი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	X	X	X			
16	პედაგოგიკის ზოგადი კურსი	X	X			X	X
17	სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაცია		X	X	X		X
18	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი	X	X	X		X	
19	ევროკავშირის სამართალი	X	X	X	X		
20	უმალესი სკოლის პედაგოგიკა	X	X		X	X	X
21	საქალაქო სასამართლოს იურიდიული კლინიკური განთლება		X	X	X		X
22	ქუთაისის იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული კლინიკური განათლება		X	X	X		X

23	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული კლინიკური განათლება		X	X	X		X
24	ქუთაისის საოლქო პროქურატურის იურიდიული კლინიკური განათლება		X	X	X		X

